

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ლ.კილაძის
ანგარიშის მოსმენის სხდომის
ოქმი

2019წელი, 29 იანვარი

სოფელი მელექედური

15.00-16.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: გ. ლურჯუმელიძე-საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, საკრებულოს წევრის ამომრჩევლები, კოლეგები, ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ტ.აროშიძე.

საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარე დ.დარჩია მიესალმა დამსწრეთ, ამომრჩევლებს -აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება, განაცხადა, რომ ლ.კილაძე არის საკრებულოს პროფესიონალი და მაღალი პასუხისმგებლობის მქონე წევრი, იგი აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, ფრაქციისა და კომისიების მუშაობაში, თითქმის ყოველდღიური კონტაქტი აქვს ამომრჩევლებთან, ზრუნავს მათი პრობლემების მოგვარებაზე.

საკრებულოს წევრმა ლ.კილაძემ საკრებულოს რეგლამენტის 131-ე მუხლის შესაბამისად, წარმოადგინა მის მიერ საანგარიშო პერიოდში როგორც საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, ფრაქციასა და კომისიებში, ამომრჩევლებთან,

მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთობლივად გაწეული მუშაობის ანგარიში.

ისაუბრა საანგარიშო პერიოდში მის მიერ ამომრჩევლების მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე.

ამომრჩევლებმაც და კოლეგებმაც მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ანგარიშს. აღნიშნეს, რომ ლ.კილაძე არის საკრებულოს აქტიური წევრი, მაღალი პასუხისმგებლობით და პროფესიონალურად უდგება ყოველ პრობლემას, კოლეგიურად, ურთიერთ თანამშრომლობით აგვარებს პრობლემატურ საკითხებს, წარმატებები უსურვეს მომავალ საქმიანობაში. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გ. ღურჯუმელიძემ აღნიშნა, რომ ანგარიში იყო უაღრესად საინტერესო და შინაარსიანი, შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს და მიზანშეწონილია შეფასდეს დამაკმაყოფილებლად, მისი აზრი გაიზიარეს საკრებულოს თავმჯდომარემ დ.დარჩიამ და კოლეგებმა გ.კილაძემ, ტ.აროშიძემ და სხვებმა.

გამოთქმულ შეფასებებს დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარე დ.დარჩია და აღნიშნა, რომ სასიამოვნოა, როცა საკრებულოს წევრზე ისმენს კოლეგების პოზიტიურ შეფასებებს, ანგარიში სრულად პასუხობს რეგლამენტის მოთხოვნებს, უსურვა წარმატებები მომავალ მუშაობაში.

ამომრჩევლებისა და დამსწრეთა საერთო აზრით, სხდომის თავმჯდომარის დ.დარჩიას წინადადებით, საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად. (დანართი-ანგარიში-თან ერთვის 1-ფურცლად)

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო